

ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატიური ოქმი

ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ

მიღებულია და ღიაა ხელმოწერის, რატიფიკაციისა და მიერთებისათვის გენერალური ასამბლეის
2000 წლის 25 მაისის რეზოლუციით #A/RES/54/263

ძალაში შევიდა 2002 წლის 18 იანვარს

წინამდებარე ოქმის მონაწილე სახელმწიფოები

ითვალისწინებენ რა, რომ შემდგომში ბავშვის უფლებათა კონვენციის მიზნების მიღწევისა და მისი დებულებების, განსაკუთრებით 1-ლი, მე-11, 21-ე, 32-ე, 33-ე, 34-ე, 35-ე და 36-ე მუხლების განხორციელებისათვის მიზანშეწონილია იმ ღონისძიებების გაფართოება, რომლებიც მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ ბავშვებით ვაჭრობისაგან, ბავშვთა პროსტიტუციისა და პორნოგრაფიისაგან ბავშვთა დაცვის უზრუნველსაყოფად;

ითვალისწინებენ ასევე რა, რომ ბავშვის უფლებათა კონვენცია აღიარებს ბავშვთა უფლებას დაცულნი იყვნენ ეკონომიკური ექსპლუატაციისა და ნებისმიერი ისეთი სამუშაოს შესრულებისაგან, რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ბავშვებს, ან დაბრკოლება შეუქმნას მათ განათლების მიღებაში, ან ზიანი მიაყენოს მათ ჯანმრთელობას, ან ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, ზნეობრივ და სოციალურ განვითარებას;

ძალზე შემფოთებულნი არიან რა ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის მიზნით ბავშვთა საერთაშორისო ტრეფიკინგის მნიშვნელოვანი და მზარდი მასშტაბებით;

ღრმად შემფოთებულნი არიან რა სექს-ტურიზმის ფართოდ გავრცელებული და უწყვეტი პრაქტიკით, რომლის მიმართ ბავშვები განსაკუთრებით დაუცველნი არიან, ვინაიდან იგი უშუალოდ ხელს უწყობს ბავშვებით ვაჭრობას, ბავშვთა პროსტიტუციასა და ბავშვთა პორნოგრაფიას;

აღიარებენ რა, რომ განსაკუთრებით დაუცველ რიგ ჯგუფებს, მათ შორის გოგონებს ემუქრებათ სექსუალური ექსპლუატაციის მეტი საფრთხე და რომ გოგონები არაპროპორციულად მეტად არიან წარმოდგენილნი სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლთა შორის;

შემფოთებულნი არიან რა ბავშვთა პორნოგრაფიის გაზრდილი ხელმისაწვდომობით ინტერნეტისა და სხვა განვითარებადი ტექნოლოგიების საშუალებით და ეყრდნობიან რა ინტერნეტში ბავშვთა პორნოგრაფიასთან ბრძოლის შესახებ საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც 1999 წელს ვენაში გაიმართა, კერძოდ მის დასკვნას, რომელიც მოუწოდებს ბავშვთა პორნოგრაფიის წარმოების, გავრცელების, ექსპორტის, გადაცემის, იმპორტის, განზრახ შენახვისა და რეკლამირების კრიმინალიზაციისაკენ მთელს მსოფლიოში და რომელიც ხაზს უსვამს მთავრობებსა და ინტერნეტ ინდუსტრიას შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობისა და პარტნიორობის მნიშვნელობას;

მიაჩნიათ რა, რომ ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის აღკვეთას ხელს შეუწყობს ერთიანი მიდგომის შემუშავება, რომელიც შეეხება ხელშემწყობ ფაქტორებს, კერძოდ განვითარების დაბალ დონეს, სიღარიბეს, ეკონომიკურ უთანასწორობას, მიკერძოებულ სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურას, დისფუნქციური ოჯახების არსებობას, განათლების ნაკლებობას, სოფლიდან ქალაქში მიგრაციას, სქესის ნიშნით დისკრიმინაციას,

ზრადსრულთა უპასუხისმგებლო სექსუალურ ქცევას, მავნე ტრადიციულ პრაქტიკას, შეიარაღებულ კონფლიქტებსა და ბავშვთა ტრეფიკინგს;

აგრეთვე მიაჩნიათ რა, რომ აუცილებელია ძალისხმევა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისათვის ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიაზე სამომხმარებლო მოთხოვნის შესამცირებლად და ამასთანავე, აღიარებენ რა ყველა მონაწილეს შორის გლობალური პარტნიორობის გაძლიერებისა და ეროვნულ დონეზე კანონმდებლობის აღსრულების მნიშვნელობას;

ითვალისწინებენ რა იმ საერთაშორისო სამართლებრივი აქტების დებულებებს, რომლებიც შეეხება ბავშვთა დაცვას, მათ შორის, ჰააგის კონვენციას ბავშვთა დაცვისა და სახელმწიფოთაშორისო გამვილებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ, ჰააგის კონვენციას ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ, ჰააგის კონვენციას მშობელთა პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ღნისძიებების თვალსაზრისით განსჯადობის, მოქმედი კანონმდებლობის, აღიარების, აღსრულებისა და თანამშრომლობის შესახებ და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის #182 კონვენციას ბავშვთა შრომის ყველაზე მძიმე ფორმების აკრძალვისა და აღკვეთისათვის დაუყოვნებელი რეაგირების შესახებ;

დაიმედებულნი არიან რა ბავშვის უფლებათა კონვენციის საყოველთაო მხარდაჭერით, რაც მოწმობს ბავშვთა უფლებების ხელშეწყობისა და დაცვისადმი ფართო მხარდაჭერას,

აღიარებენ რა ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის პრევენციის სამოქმედო პროგრამის, 1996 წლის 27-31 აგისტოს სტოკჰოლმში ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ მსოფლიო კონგრესზე მიღებული დეკლარაციისა და სამოქმედო გეგმის დებულებებისა და შესაბამისი საერთაშორისო ორგანოების მიერ მიღებულ სხვა სათანადო გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების განხორციელების მნიშვნელობას,

შესაბამისად ითვალისწინებენ რა ყოველი ერის ტრადიციებისა და კულტურული ღირებულებების მნიშვნელობას ბავშვთა დაცვისა და ჰარმონიული განვითარებისათვის;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მონაწილე სახელმწიფოები კრძალავენ ბავშვებით ვაჭრობას, ბავშვთა პროსტიტუციასა და ბავშვთა პორნოგრაფიას წინამდებარე ოქმის შესაბამისად.

მუხლი 2

წინამდებარე ოქმის მიზნებისათვის:

(ა) ბავშვებით ვაჭრობა ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, ან გარიგებას, რომლის შედეგადაც ნებისმიერი პირის, ან პირთა ჯგუფის მიერ ბავშვი გადაეცემა სხვა პირს, ან პირთა ჯგუფს ფულადი, ან ნებისმიერი სხვა ანაზღაურების სანაცვლოდ;

(ბ) ბავშვთა პროსტიტუცია ნიშნავს ბავშვის გამოყენებას სექსუალური ხასიათის ქმედებაში ფულადი, ან სხვა სახის ანაზღაურების სანაცვლოდ;

(გ) ბავშვთა პორნოგრაფია ნიშნავს ბავშვის, რომელიც ასრულებს რეალურ, ან სიმულირებულ აშკარა სექსუალური ხასიათის მოქმედებას, გამოსახვას ნებისმიერი საშუალებით ან ნებისმიერი სახით, ან ბავშვის სასქესო ორგანოების ნებისმიერი ფორმით გამოსახვას ძირითადად, სექსუალური მიზნებისათვის.

მუხლი 3

1. თითოეული მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედებანი და საქმიანობა, როგორც მინიმუმ, სრულად იქნეს გათვალისწინებული მისი სისხლის სამართლის კანონმდებლობით მიუხედავად იმისა, ასეთი დანაშაული ჩადენილია ადგილობრივ, თუ ტრანსნაციონალურ დონეზე ერთი პირის მიერ, თუ ორგანიზებულად:

(ა) ბავშვებით ვაჭრობა, მე-2 მუხლის დეფინიციის შესაბამისად;

(i) ნებისმიერი საშუალებით ბავშვის შეთავაზება, გადაცემა, ან მიღება შემდეგი მიზნებისათვის:

ა. ბავშვის სექსუალური ექსპლუატაცია;

ბ. ბავშვის ორგანოების გადაცემა მოგების მიღების მიზნით;

გ. ბავშვის ჩართვა იძულებით შრომაში;

(ii) შვილად აყვანის შესახებ შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების დარღვევით ბავშვის შვილად აყვანისათვის თანხმობის არამართლზომიერი მოპოვება შუამავლობის გზით;

(ბ) ბავშვის შეთავაზება, მიღება, შექმნა, ან გადაცემა პროსტიტუციის მიზნით მე-2 მუხლის შესაბამისად;

(გ) ბავშვთა პორნოგრაფიის წარმოება, დისტრიბუცია, გავრცელება, იმპორტი, ექსპორტი, შეთავაზება, გაყიდვა, ან შენახვა ზემოაღნიშნული მიზნებისათვის მე-2 მუხლის შესაბამისად.

2. მონაწილე სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად, იგივე პირობები ვრცელდება ნებისმიერი ზემოაღნიშნული ქმედების მცდელობაზე და ნებისმიერ მათგანში თანამონაწილეობაზე, ან მონაწილეობაზე.

3. თითოეული მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ ამგვარი დანაშაულები დასჯადი იყოს ადეკვატური სასჯელით, რომელიც შეესაბამება ამ დანაშაულების სიმძიმეს.

4. მისი ეროვნული კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად, თითოეული მონაწილე სახელმწიფო საჭიროებისამებრ მიიღებს ზომებს წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული სამართალდარღვევების ჩადენისათვის იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობის დასაწესებლად. მონაწილე სახელმწიფოს სამართლებრივი პირნციპებიდან გამომდინარე, იურიდიულ პირთა ამგვარი პასუხისმგებლობა შესაძლოა იყოს სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო, ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის.

5. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა სათანადო სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბავშვის შვილად აყვანის პროცესში მონაწილე ყველა პირი მოქმედებდეს შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 4

1. თითოეული მონაწილე სახელმწიფო მიიღებს ისეთ ზომებს, რომლებიც შესაძლოა აუცილებელი იყოს მისი განსჯადობის გასაზრცელებლად მე-3 მუხლის 1-ლ პუნქტში აღნიშნულ დანაშაულებზე იმ შემთხვევაში, თუ ეს დანაშაულები ჩადენილია მათ ტერიტორიაზე, ან ამ სახელმწიფოში რეგისტრირებული საზღვაო, ან საჰაერო ხომალდზე.

2. თითოეულ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც შესაძლოა აუცილებელი იყოს მისი განსჯადობის გასაგრძელებლად მე-3 მუხლის 1-ლ პუნქტში აღნიშნულ დანაშაულებზე შემდეგ შემთხვევებში:

(ა) როდესაც სავარაუდო დამნაშავე ამ სახელმწიფოს მოქალაქეა, ან აქვს მუდმივი საცხოვრებელი მის ტერიტორიაზე;

(ბ) როდესაც დაზარალებული ამ სახელმწიფოს მოქალაქეა.

3. მონაწილე სახელმწიფო აგრეთვე მიიღებს ისეთი ზომებს, რომლებიც შესაძლებელია აუცილებელი იყოს მისი განსჯადობის გასაგრძელებლად ზემოაღნიშნულ დანაშაულებზე, როდესაც სავარაუდო დამნაშავე მის ტერიტორიაზე იმყოფება და სახელმწიფო მის ექსტრადიციას არ ახდენს სხვა მონაწილე სახელმწიფოში იმ საფუძველით, რომ დანაშაული ჩაიდინა მისმა ერთ-ერთმა მოქალაქემ.

4. წინამდებარე ოქმი არ გამოიცხავს სისხლისსამართლებრივ განსჯადობას, რომელიც განხორციელდება შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5

1. მე-3 მუხლის 1-ლ პუნქტში აღნიშნული დანაშაულები მოექცევა მონაწილე სახელმწიფოებს შორის არსებული ექსტრადიციის შესახებ ნებისმიერი საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების სფეროში, როგორც ექსტრადიციას დაქვემდებარებული დანაშაულები და გათვალისწინებული იქნება ნებისმიერ საერთაშორისო ხელშეკრულებაში ექსტრადიციის შესახებ, რომელიც შემდგომ დაიდება მათ შორის ამ საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

2. თუ მონაწილე სახელმწიფო, რომელიც ექსტრადიციას დამოკიდებულს ხდის საერთაშორისო ხელშეკრულების არსებობაზე, სხვა ისეთი მონაწილე სახელმწიფოსაგან მიიღებს ექსტრადიციის მოთხოვნას, რომელთანაც მას ექსტრადიციის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულება არ აქვს, მას შეუძლია წინამდებარე ოქმი მიიჩნიოს სამართლებრივ საფუძველად ექსტრადიციისათვის ამგვარი დანაშაულებისათვის. ექსტრადიციის უნდა დაქვემდებარდეს ექსტრადიციის მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილ პირობებს.

3. მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც ექსტრადიციას დამოკიდებულს არ ხდიან საერთაშორისო ხელშეკრულების არსებობაზე, ერთმანეთს შორის აღიარებენ ამგვარ დანაშაულებს ექსტრადიციას დაქვემდებარებულ დანაშაულებად, რაც ექვემდებარება ექსტრადიციის მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პირობებს.

4. მონაწილე სახელმწიფოთა შორის ექსტრადიციის მიზნებისათვის, ამგვარი დანაშაულები განიხილება, როგორც დანაშაულები, რომლებიც ჩადენილია არა მხოლოდ დანაშაულის ჩადენის ადგილზე, არამედ აგრეთვე იმ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე, რომლებიც ვალდებულნი არიან გაავრცელონ თავიანთი განსჯადობა მე-4 მუხლის შესაბამისად.

5. თუ მოთხოვნა ექსტრადიციის შესახებ წარდგენილია მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული ერთ-ერთი დანაშაულის გამო და ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო არ ახდენს, ან არ მოახდენს ექსტრადიციას დამნაშავეს მოქალაქეობის საფუძველზე, ეს სახელმწიფო მიიღებს სათანადო ზომებს, რათა საქმე გადაეცეს მის კომპეტენტურ ორგანოებს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

მუხლი 6

1. მონაწილე სახელმწიფოები ერთმანეთს მაქსიმალურ დახმარებას გაუწევენ მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების, ან სისხლისსამართლებრივი დევნის, ან ექსტრადიციის პროცესში, მათ შორის სამართალწარმოებისათვის აუცილებელი მათ ხელთ არსებული მტკიცებულებების მოსაპოვებლად.

2. მონაწილე სახელმწიფოები შეასრულებენ წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ნებისმიერი არსებული საერთაშორისო ხელშეკრულების, ან სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ სხვა შეთანხმების შესაბამისად, რომლებიც შესაძლოა მათ შორის არსებობდეს. ამგვარი საერთაშორისო ხელშეკრულების, ან შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, მონაწილე სახელმწიფოები ერთმანეთს დახმარებას გაუწევენ თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7

თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები:

(ა) მიიღებენ ზომებს, რათა შესაბამისად უზრუნველყონ დაყადაღება და კონფისკაცია:

(i) საქონლისა, როგორცაა მასალა, აქტივები და სხვა მოწყობილობანი, რომლებიც გამოიყენებოდა წინამდებარე ოქმით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის, ან მათი ჩადენის ხელშეწყობისთვის;

(ii) ამგვარი დანაშაულების ჩადენიდან მიღებული შემოსავლებისა;

(ბ) აღასრულებენ სხვა მონაწილე სახელმწიფოს თხოვნას (ა) პუნქტით გათვალისწინებულ საქონლის, ან შემოსავლების დაყადაღების, ან კონფისკაციის შესახებ;

(გ) მიიღებენ ზომებს, ამგვარი დანაშაულების ჩასადენად გამოყენებული შენობების სამუდამოდ, ან დროებით დახურვის მიზნით.

მუხლი 8

1. მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ სათანადო ზომებს წინამდებარე ოქმით აკრძალული ქმედებების შედეგად დაზარალებულ ბავშვთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად სისხლის სამართლის პროცესის ყველა ეტაპზე, მათ შორის შემდეგი გზებით:

(ა) დაზარალებულ ბავშვთა მოწყვლადობის აღიარებით და პროცედურების ადაპტირებით მათი, მათ შორის, როგორც მოწმეების, სპეციალური საჭიროებების აღიარების მიზნით,

(ბ) დაზარალებულ ბავშვთა ინფორმირებით მათი უფლებებისა და როლის შესახებ, აგრეთვე სამართალწარმოების მასშტაბის, ვადების, მისი მსვლელობისა და მათ საქმეებზე გადაწყვეტილებების შესახებ;

(გ) დაზარალებულ ბავშვთა მოსაზრებების, საჭიროებებისა და მოთხოვნების წარდგენისა და განხილვის უზრუნველყოფით სამართალწარმოებისას, რომელიც გავლენას ახდენს მათ ინტერესებზე ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცესუალური ნორმების შესაბამისად;

(დ) სამართალწარმოების ყველა ეტაპზე დაზარალებული ბავშვების დასახმარებლად სათანადო მომსახურების უზრუნველყის გზით;

(ე) საჭიროებისამებრ, დაზარალებულ ბავშვთა პირადი ცხოვრებისა და ვინაობის დაცვითა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ზომების მიღებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ინფორმაციის არამართლზომიერი გავრცელება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დაზარალებული ბავშვის ვინაობის იდენტიფიცირება;

(ვ) შესაბამის შემთხვევებში დაშინებისა და შურისძიებისაგან დაზარალებული ბავშვების ისევე, როგორც მათი ოჯახების და მათი მოწმეების უსაფრთხოების უზრუნველყოფით;

(ზ) საქმეზე გადაწყვეტილების მიღების და დაზარალებული ბავშვისათვის კომპენსაციის გადახდის შესახებ განჩინების, ან დადგენილების აღსრულების უსაფუძვლო გაჭიანურების თავიდან აცილების გზით.

2. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ დაზარალებულის ნამდვილ ასაკთან დაკავშირებით არსებულმა გაურკვევლობამ არ დააბრკოლოს სისხლისსამართლებრივი გამოძიების დაწყება, მათ შორის გამოძიებისა, რომლის მიზანს დაზარალებული ბავშვის ასაკის დადგენა წარმოადგენს.

3. მონაწილე სახელმწიფოებში უზრუნველყოფენ, რომ წინამდებარე ოქმით გათვალისწინებული დანაშაულებით დაზარალებულ ბავშვთა მიმართ მოპყრობისას სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემაში უპირატესი მნიშვნელობა მიენიჭება ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესს.

4. მონაწილე სახელმწიფოები მიიღებენ ზომებს წინამდებარე ოქმით აკრძალული დანაშაულებით დაზარალებულებთან მომუშავე პირებისათვის სათანადო სწავლების, კერძოდ სამართლებრივ და ფსიქოლოგიურ საკითხებზე სწავლების უზრუნველსაყოფად.

5. მონაწილე სახელმწიფოები საჭიროებისამებრ მიიღებენ სათანადო ზომებს იმ პირების და/ან ორგანიზაციების უსაფრთხოებისა და ხელშეუხებლობის დასაცავად, რომლებიც ჩართულნი არიან ამგვარი დანაშაულების პრევენციის და/ან ამგვარი დანაშაულებით დაზარალებულთა დაცვისა და რეაბილიტაციის საქმეში.

6. წინამდებარე ოქმში არაფერი უნდა განიმარტოს ისე, რომ ზიანი მიაყენოს, ან ეწინააღმდეგებოდეს ბრალდებულის უფლებას სამართლიან და მიუკერძოებელ სასამართლო პროცესზე.

მუხლი 9

1. მონაწილე სახელმწიფოები მიიღებენ, ან აძლიერებენ და ავრცელებენ კანონმდებლობას, ადმინისტრაციულ ზომებს, სოციალურ პოლიტიკას და პროგრამებს წინამდებარე ოქმით გათვალისწინებული დანაშაულების პრევენციის მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვთა დაცვას, რომლებიც განსაკუთრებით დაუცველნი არიან ამგვარი ქმედებების მიმართ.

2. მონაწილე სახელმწიფოები ხელს შეუწყობენ წინამდებარე ოქმით გათვალისწინებული დანაშაულების პრევენციული ღონისძიებებისა და მათი მავნე შედეგების შესახებ საზოგადოებრივი, მათ შორის ბავშვთა ცნობიერების ამაღლებას სათანადო საშუალებებით ინფორმაციის გავრცელების, განათლებისა და სწავლების გზით. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას, მონაწილე სახელმწიფოები ხელს შეუწყობენ საზოგადოების, განსაკუთრებით ბავშვებისა და დაზარალებული ბავშვების

მონაწილეობას ამგვარ საინფორმაციო, საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამებში, მათ შორის საერთაშორისო დონეზე.

3. მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაძლო ზომას ამგვარი დანაშაულებით დაზარალებულთა დახმარების, მათ შორის მათი სრული რეინტეგრაციისა და სრული ფიზიკური და ფსიქოლოგიური გამოჯანმრთელების უზრუნველყოფის მიზნით.

4. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ წინამდებარე ოქმით გათვალისწინებული დანაშაულებით დაზარალებულ ყველა ბავშვს ხელი მიუწვდებოდეს ადეკვატურ პროცედურებზე სამართლებრივად პასუხისმგებელი პირებისაგან ზიანის ანაზღაურების მისაღებად დისკრიმინაციის გარეშე.

5. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ შესაბამის ზომებს იმ მასალების წარმოებისა და გავრცელების ეფექტურად აკრძალვის მიზნით, რომლებიც წინამდებარე ოქმით გათვალისწინებულ დანაშაულებს უწყეს პროპაგანდას.

მუხლი 10

1. მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა აუცილებელ ზომას მრავალმხრივი, რეგიონალური და ორმხრივი შეთანხმებების გზით საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებისათვის ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციის, ბავშვთა პორნოგრაფიისა და ბავშვთა სექს-ტურიზმთან დაკავშირებული ქმედებების პრევენციის, გამოვლენის, გამოძიების და მათზე პასუხისმგებელი პირების სისხლისსამართლებრივი დევნისა და დასჯის მიზნით. ამასთანავე, მონაწილე სახელმწიფოები ხელს შეუწყობენ საერთაშორისო თანამშრომლობასა და კოორდინაციას თავიანთ უწყებებს, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის.

2. მონაწილე სახელმწიფოები ხელს შეუწყობენ საერთაშორისო თანამშრომლობას დაზარალებულ ბავშვთა დასახმარებლად მათ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ გამოჯანმრთელებაში, სოციალურ რეინტეგრაციასა და რეპატრიაციამში.

3. მონაწილე სახელმწიფოები ხელს შეუწყობენ საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციის, ბავშვთა პორნოგრაფიისა და ბავშვთა სექს-ტურიზმის გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვთა მოწყვლადობას, როგორცაა სიღარიბე და განვითარების დაბალი დონე.

4. მონაწილე სახელმწიფოები, რომელთაც აქვთ საამისო შესაძლებლობა, უზრუნველყოფენ ფინანსურ, ტექნიკურ, ან სხვა სახის დახმარებას არსებული მრავალმხრივი, რეგიონალური, ორმხრივი, ან სხვა პროგრამების საშუალებით.

მუხლი 11

წინამდებარე ოქმის არცერთი დებულება არ ზღუდავს არც ერთ ისეთ ნორმას, რომელიც უფრო მეტად უწყობს ხელს ბავშვის უფლებების რეალიზაციას და რომელიც გათვალისწინებულია:

(ა) მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობით;

(ბ) ამ სახელმწიფოსათვის მოქმედი საერთაშორისო სამართლით.

მუხლი 12

1. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ წინამდებარე ოქმის ამ მონაწილე სახელმწიფოში ძალაში შესვლიდან ორი წლის ვადაში ბავშვის უფლებათა კომიტეტს უნდა წარუდგინოს ანგარიში, რომელიც უნდა შეიცავდეს სრულ ინფორმაციას იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც განხორციელდა წინამდებარე ოქმის დებულებების შესასრულებლად.

2. ყოვლისმომცველი ანგარიშის წარდგენის შემდეგ, თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ ბავშვის უფლებათა კომიტეტისათვის წარდგენილ შემდგომ ანგარიშებში, კონვენციის 44-ე მუხლის შესაბამისად, უნდა წარმოადგინონ ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია წინამდებარე ოქმის შესრულების შესახებ. ოქმის მონაწილე სხვა სახელმწიფოებმა ანგარიში უნდა წარადგინონ ხუთ წელიწადში ერთხელ.

3. ბავშვის უფლებათა კომიტეტი უფლებამოსილია მონაწილე სახელმწიფოებს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია წინამდებარე ოქმის შესრულების შესახებ.

მუხლი 13

1. წინამდებარე ოქმი ხელმოსაწერად ღიაა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რომელიც კონვენციის მონაწილეა, ან ხელი მოაწერა მას.

2. წინამდებარე ოქმი ექვემდებარება რატიფიკაციას და ღიაა გაწევრიანებისათვის ნებისმიერი იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც კონვენციის მონაწილეა, ან ხელი მოაწერა მას. რატიფიკაციის, ან მიერთების სიგელები უნდა წარედგინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 14

1. წინამდებარე ოქმი ძალაში შედის მეათე სარატიფიკაციო სიგელის, ან მიერთების შესახებ დოკუმენტის წარდგენიდან სამი თვის შემდეგ.

2. ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც წინამდებარე ოქმის რატიფიცირებას მოახდენს, ან მიუერთდება მას მისი ძალაში შესვლის შემდეგ, ოქმი ძალაში შედის მისი სარატიფიკაციო სიგელის, ან მიერთების დოკუმენტის წარდგენიდან ერთი თვის შემდეგ.

მუხლი 15

1. ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს წინამდებარე ოქმის ნებისმიერ დროს დენონსაციის უფლება წერილობითი შეტყობინებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი, რომელმაც ამის შემდეგ უნდა შეატყობინოს კონვენციის სხვა მონაწილე სახელმწიფოებს და ყველა იმ სახელმწიფოს, რომელმაც კონვენციას მოაწერა ხელი. დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

2. ამგვარი დენონსაცია არ იწვევს მონაწილე სახელმწიფოს განთავისუფლებას წინამდებარე ოქმით ნაკისრი ვალდებულებებისაგან ნებისმიერი იმ დანაშაულის მიმართ, რომელიც ჩადენილია დენონსაციის ძალაში შესვლამდე. ამასთანავე, ამგვარი დენონსაცია არც ერთ შემთხვევაში არ ზღუდავს ნებისმიერი იმ საქმის მიმდინარე განხილვას, რომელიც ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ დენონსაციის ძალაში შესვლამდე უკვე განიხილებოდა.

მუხლი 16

1. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს შესთავაზოს ცვლილება და წარუდგინოს იგი გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს. შედეგად, გენერალურმა მდივანმა შეთავაზებული ცვლილება უნდა გააცნოს მონაწილე სახელმწიფოებს და სთხოვოს მათ მიუთითონ თანახმანი

არიან, თუ არა მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევაზე შეთავაზების განხილვისა და მასზე კენჭისყრის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი შეტყობინების გაგზავნიდან ოთხი თვის ვადაში მონაწილე სახელმწიფოთაგან ერთი მესამედი მაინც მხარს უჭერს ამგვარ კონფერენციას, გენერალურმა მდივანმა უნდა მოიწვიოს კონფერენცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით. კონფერენციაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა ხმის უმრავლესობით მიღებული ნებისმიერი ცვლილება დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას.

2. წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი ცვლილება ძალაში შედის გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებისა და მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედის მიერ მიღების შემდეგ.

3. ცვლილების ძალაში შესვლიდან, იგი სავალდებულოა იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომელთაც იგი მიიღეს, ხოლო დანარჩენი მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულო რჩება წინამდებარე ოქმი და ნებისმიერი ადრეული ცვლილება, რომელიც მათ მიიღეს.

მუხლი 17

1. წინამდებარე ოქმი, რომლის არაბულ, ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ტექსტებს თანაბარი ძალა აქვთ, შესანახად გადაეცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არქივს.

2. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი წინამდებარე ოქმის დამოწმებულ ასლებს გადასცემს კონვენციის ყველა მონაწილე სახელმწიფოს და ყველა იმ სახელმწიფოს, რომელმაც ხელი მოაწერა კონვენციას.